ს.ს.ი.პ "თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს
უფროსს ბატონ არისი ბოჭოიძეს
მოქ. იოსებ ცინცაძის
მის. ქ.თბილისი, კეკელიძის ქ. №25, ბინა 18
ტელ: 599 56-70-18;

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, **იოსებ ცინცაძე** (დაბ. 01.09.1935 წ. პირადი №01008005267, მცხ. თბილისი, კეკელიძის ქ. №25, ბინა 18), როგორც შპს „დიპლომატიური აკადემია"-ს (ს/კ 203850065) დირექტორი, თანახმა ვარ, რომ შპს „დიპლომატიური აკადემია"-ს კუთვნილი შენობის კედელზე, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34, ნაკვეთი 40/254 (საკადასტრო კოდი №01.14.03.040.254) **შპს „ლიკა"-მ** (ს/კ 404922508) განათავსოს სარეკლამო აბრა.

სილამაზის სალონი „ლიკა" (**შპს „ლიკა"** ს/კ 404922508) მდებარეობს ამავე დასახლებაში, ქ.თბილისში, გ. გეგეჭკორის ქუჩის ბოლოში, №18-ში. ზემოაღნიშნული აბრა ხელს შეუწყობს სალონის არსებობის გაცნობას მოსახლეობისათვის და შესაბამისად მის კომერციულ საქმიანობას, რასაც ვადასტურებ და ვამოწმებ ხელმოწერით.

---------- შპს „დიპლომატიური აკადემია"
დირექტორი იოსებ ცინცაძე

ქ.თბილისი,
01 ივნისი 2012 წელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120569879
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.06.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	56367364099012

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისბ შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თორმეტი წლის პირველ ივნისს მე, ქეთევან გრიგოლიას ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართა **იოსებ ცინცაძემ** და განაცხადა, რომ სურდა განცხადების შედგენა. მე ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ **იოსებ ცინცაძის** კარნახით შევადგინე განცხადება, წავუკითხე და **განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ უფლებამოსილებას, განცხადების შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ განცხადებაზე ხელმოწერას.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი და დავადგინე, რომ ნამდვილად მომმართა **იოსებ ცინცაძემ** (დაბ. 01.09.1935 წ. თბილისში, პირ. მოწმ. №დ1338143, პირ. №01008005267, გაც. 25.11.2009 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის მიერ, მცხ. თბილისი, კ. კეკელიძის ქ. №25, ბინა 18).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

იოსებ ცინცაძემ წაიკითხა და განაცხადა, რომ განცხადება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე განცხადებაზე.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 31.3, 31.14, 39.1 – 2 ეგზემპლიარი, 2 ხელმოწერა, ოთხი ლარი + პროექტის მომზადების ერთი ლარი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ შვიდი ლარი.

ნოტარიუსი _____ ქეთევან გრიგოლია

ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია * GEORGIA * NOTARY KETEVAN GRIGOLIA * ГРУЗИЯ НОТАРИУС ГРИГОЛИЯ КЕТЕВАН * 62003006719 *